მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 13 ივლისის N 04-03/ 88785 მომართვის თანახმად ,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით, გადამუშავებული ფისკალური პროგნოზებს შესაბამისად, ხარაგაულის 2021 წლის ბიუჯეტში გაიზარდა გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები 1 007,8 ათასი ლარით, მათ შორის: დან. N 1

- დამატებითი ღირებულების გადასახადი 507,8 ათასი ლარით და დაგეგმილი 5 528,4 ათასი ლარის ნაცვლად ამჟამად შეადგენს 6 036,2 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება საკასო შემოსავლის მიხედვით.

- ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 500,0 ათასი ლარით და დაგეგმილი 1 100,0 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენს 1 600,0 ათ. ლარს.

2. როგორც ცნობილია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ავტობანის მშენებლობის გამო საგრძნობლად შემცირდა ავტოსაგზაო ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები. 2021 წელს მუნიციპალიტეტს ჯარიმებიდან განსაზღვრული ქონდა 1 050,0 ათასი ლარის მიღება , დღეის მდგომარებით მიღებულია დაახლოებით 200,0 ათასი ლარი, აქედან გამომდინარე საბიუჯეტო წლის დასრულებისას მუნიციპალიტეტს ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები საგრძნობლად დააკლდება.

გადასახადების გეგმების 1 007,8 ათასი ლარით გაზრდის გათვალისწინებით შესაძლებელია ჯარიმების გეგმის დაზუსტება (შემცირება) დაახლოებით 402,8 ათასი ლარით და დაგეგმილი 1050. 0 ათასი ლარის ნაცვლად შესაძლებელია განისაზღვროს 647,2 ათასი ლარი.

საბოლოოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსავლების გაზრდა მოხდება 605,0 ათასი ლარით, რაც იძლევა საშუალებას ასევე 605,0 ათასი ლარით გაიზარდოს ბიუჯეტის

ხარჯვითი ნაწილი და 2021 წლის ბიუჯეტში აღებული იქნას ახალი დამატებითი ვალდებულებები, კერძოდ მერიის სამსახურებიდან მიღებული მომართვების (დან. N 2; დან. N 3) გათვალისწინებით დამატებით იქნას მიმართული :

გზების კაპიტალური შეკეთებაზე - 120,0 ლარი;

გზების მიმდინარე შეკეთებაზე - 180,0 ათასი ლარი;

სასმელი წყლის უზრუნველყოფაზე - 100,0 ათასი ლარი;

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე - 30,0 ათასი ლარი ა(ა)იპ დასუფთავების ადა კეთილმოწყობის გაერთიანებას (დან N 4)

კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე - 10,0 ათასი ლარი, (პროექტის დოკუმენტაციის მომზადება და თანადაფინანსება) დაბა ხარაგაულში დევების ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილატაციისათვის საქართველოს რეგ. განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამაში ჩასართავად - პროექტის ღირებულება 300,0 ათასი ლარი. (დან. N 5)

რელიგიის ხარჯებში - 15,0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვის ხარჯებში 150,0 ათასი ლარი, მათ შორის: სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება - 30,0 ათასი ლარი;

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 70,0 ათასი ლარი;

სტიქიური მოვლენების შედეგად და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება - 35,0 ათასი ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება - 10,0 ათასი ლარი.

სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა - 5,0 ათასი ლარი. ამასთან, ქვეპროგრამის დასახელებაში საჭიროა ჩაემატოს ,,საგრანტო პროექტების ხელშეწყობა“ და ჩამოყალიბდეს ,,სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა“.

3. ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების 21/07/2021 წლის N 73 მომართვის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია ჩართულია საქართველოს რეგიონალური განვითარების ადა ინფრასტრუქტურის სამინისტროს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში. (პროექტის ღირებულება 500,0 ათ. ლარი) . პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებისა და თანადაფინანსებისათვის საჭირო 15,0 ათასი ლარი. რის გამოც შემცირდეს ა(ა)იპ ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების სუბსიდია 15,0 ათასი ლარით და გადატანილი იქნა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაციის ხარჯებში. (დან. N 6)

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სოფელ მოლითის საშუალო სკოლაში სველი წერტილების მოსაწესრიგებლად და დაბის N 3 საშუალო სკოლის შენობის გადახურვისათვის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04/02 N 147 განკარგულებით გამოყოფილია მიზნობრივი ტრანსფერი 61 219 ლარი. აღნიშნული თანხების საბიუჯეტო და სახაზინო პროგრამების ელექტრონულ სისტემაში დაუყოვნებლივი ასახვის მიზნით სასწრაფო წესით გამოიცა მერის ბრძანება (დან. N 7)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 16 919. 9 ათ ლარი გაიზარდოს 666, 2 ათ. ლარით და განისაზღვროს 17 586. 1 ათ. ლარით. შემოსულობების ზრდის წყაროა გადასახადების ხარჯზე შემოსავლების გეგმების გაზრდა 605,0არ. ლარით, (გადასახადები გაიზარდა 1007,8 ათ. ლარით და სხვა შემოსავლები (ჯარიმები) შემცირდა 402,8 ლარით) და მიზნობრივი ტრანსფერის გაზრდა 61,2 ათ. ლარით.

გეგმების გაზრდა 590.0 ათ. ლარით და მიზნობრივი ტრანსფერის გაზრდა 61.2 ათ. ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 20 803. 5 ათ. ლარი გაიზარდოს 666. 2 ლარით და განისაზღვროს 21 469. 7 ათ. ლარით. გადასახდელები შესაბამისად გაიზარდა გადასახადებისა და მიზნობრივი ტრანსფერის გეგმების გაზრდის გამო.